ახალი ხარაგაული

№316 (08), 4 აპრილი, 2016 წ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი აუდიტის მიერ გამოვლენილ დარღვევებს ეხმიანება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, „ბიზნეს კურიერის“ შეკითხვებს პასუხობს. შეკითხვები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის ექვსი თვის საქმიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშს ეხება. „ბიზნეს კურიერის“ ჟურნალისტი დაინტერესდა, რას ფიქრობს გამგებელი სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ. გთავაზობთ ინტერვიუს ჩანაწერს:

-„აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების ძირითადი ნაწილი იმ პერიოდს მოიცავს, როდესაც პასუხისმგებლობა წინა ხელისუფლებას ეკისრებოდა. ვფიქრობ, დღეს მოსახლეობა ჩვენი მუშაობით კმაყოფილია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულში დაახლოებით 20 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ახალი საბავშვო ბაღები აშენდა ისეთ მაღალმთიან სოფლებში, სადაც სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ყოფილა. სოფლებში მოასფალტდა გზები და მოეწყო გარე განათება. უმთავრესი პრობლემა მუნიციპალიტეტში საავადმყოფოს არქონა იყო. ჩვენ სერიოზული პრობლემის წინაშე დავდექით, როდესაც საავადმყოფოს ძველ ტერიტორიაზე ახალი შენობის აგება გვინდოდა, აღმოვაჩინეთ, რომ ის წინა ხელისუფლების მიერ გაყიდული იყო 1 ლარად. ჩვენ მოვიძიეთ სხვა ადგილი და ახალი ემერჯენს ამბულატორია ავაშენეთ. ამ ეტაპზე ახალი ორსართულიანი საავადმყოფოს მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც მილიონ ექვსასი ათას ლარიანი პროექტია და მისი მშენებლობა, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს დასრულდება. გვაქვს ასევე სოფელ ბორითში კატასტროფის ცენტრი, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი თანხებით ააშენა. თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაკეთებული შენობის დანგრევა სცადეს. შეიჭრნენ შენობაში და აპარატურა დაზიანეს. დღეს ისინი ცდილობენ, პასუხისმგებლობები, რომლებიც თავად ჰქონდათ აღებული და ვერ შეასრულეს, დღევანდელ ხელისუფლებას გადააბრალონ. ჩვენ პოლიტიკური ნიშნით არავის არ ვებრძვით, მაგრამ სამარცხვინოა, ვინმემ ისაუბროს იმაზე, რომ დღეს ხარაგაულში არაფერი არ კეთდება.

-რას იტყვით აუდიტის დასკვნაში დაწერილი იმ პროექტების შესახებ, რომლებშიც ფული დაიხარჯა და სამუშაოების ნაწილი მაინც შეუსრულებელია. მაქათუბნის ხიდზე საკმაოდ დიდი თანხებია დახარჯული და პროექტი ორჯერ გაკეთდა, ან რას იტყვით სოფელ ლეღვნის ხიდზე, რომელსაც ასასვლელ-ჩასასვლელი არ ჰქონდა კარგა ხანს, შემდეგ მოსახლეობას თავად მოუწია მისი გაკეთება, ხარაგაულში ასევე გაუმართავია წყლის სისტემაც.

-მაქათუბნის ხიდის პროექტი თავის დროზე ყოფილმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეისყიდა. თუ რამე ხარვეზი იყო ხიდის აშენებასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, ჩემი გამოვლენილია. ჩვენ იქ მივიყვანეთ ექსპერტები, ხარვეზები გამოვასწორეთ და პროექტი თავიდან გავაკეთეთ. ამისთვის, ცხადია, დამატებითი თანხები გამოიყო. რაც შეეხება ლეღვანს, იქ ხიდი არ აშენებულა. გაკეთდა საფეხმავლო გადასასვლელი, რომელზეც მოქალაქეებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გადაჰყავთ. მეორე მხარეს არავინ ცხოვრობს, იქ მხოლოდ მიწები და საძოვრებია. თუ მოსახლეობამ კეთილი ნება გამოიჩინა და გადასასვლელის დასრულებაში მონაწილეობა მიიღო, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ხიდი ნოემბერში მოსული უხვი ნალექის გამო ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში გაკეთდა და მასზე 5000 ლარი დაიხარჯა ეს თანხა საკმარისი არ იყო, მაგრამ ამ პროექტის დასრულება მაინც მოვახერხეთ. როდესაც წყლის სისტემის გაუმართაობაზეა საუბარი ხარაგაულში, უნდა გავიხსენოთ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში (2010-2013 წლებში) შესყიდული დიდი რაოდენობით წყლის მილები. ისინი რომ დანიშნულებისამებრ გამოყენებულიყო, ახლა ხარაგაულის მოსახლეობა ინდივიდუალურ რეჟიმში უნდა იყოს დაქსელილი და წყლით უზრუნველყოფილი, მაგრამ თითქმის 600 პროექტი მხოლოდ ქაღალდის ფურცლებზეა შესრულებული. ჩვენ რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულში წყლის მასშტაბური პროექტი განვახორციელეთ, რომლის ფარგლებშიც საავადმყოფოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, პატარა ხარაგაულის სამ ქუჩაზე, წყალი მოსახლეობას 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება. ჩამონტაჟდა 250-ტონიანი ბეტონის ავზი, დაიდგა ახალი ტუმბო, რომელიც 110კვ. ელექტროენერგიას მოიხმარს და, შესაბამისად, ერთ საათში 100 ტონა წყალს აქაჩავებს. ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით საქარიქედზე გაკეთდა ჭაბურღილი. დამონტაჟდა 60 ტონიანი ავზი, საიდანაც წყალი საქარიქედის მოსახლეობას მიეწოდება. ჭაბურღილი გაკეთდა სოფელ ბორშიც. ჩვენ ეტაპობრივად მივყვებით და ყველა სოფელში, სადაც წყლის პრობლემაა, აუცილებლად მოვაგვარებთ. ხარაგაულში არის მაღალმთიანი სოფელი პატარა სახვლარი, სადაც, რაც კაცობრიობა არსებობს, ელექტროენერგია არასდროს ყოფილა. ჩვენ ამ პრობლემის მოგვარებაც შევძელით. სულ მალე ამ სოფელში, სადაც მხოლოდ ოთხი ოჯახი ცხოვრობს, დენი ჩაირთვება. რაც შეეხება სარიტუალო სახლებს, ზოგიერთი მათგანის მშენებლობა წლების წინ დაიწყო. ცუდია, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერ დასრულდა ეს სახლები, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში არ არის ფინანსური შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ ასეთი სახლების მშენებლობით კერძო სექტორი უნდა იყოს დაინტერესებული.

-რას იტყვით ბორითი-მარიამწყაროს გზაზე, რომლის რეაბილიტაციისთვის 120 000 ლარი უკვე გადახდილია და სამუშაოები დასრულებული არ არის.

-კარგი იქნებოდა ბორითი-მარიამწყაროს გზა მაშინ გადაგეღოთ, ვიდრე

გაგრძელება მე-2 გვერდზე

რა შენიშვნები აქვთ დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის მიმართ

21 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა მაღრაძის, 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს და საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილი, დაინტერესდა, რა ღონისძიებები გატარდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ, რომლებიც შესასწავლად ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი) დაევალა. იგი ასევე შეეხო საკადრო საკითხებსაც და დასძინა, რომ ხარაგაულში ხშირად ნეპოტიზმის შემთხვევები ფიქსირდება.

საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა მაღრაძის განმარტებით, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება საკითხს და ცდილობს მის დეტალურ შესწავლას. „შენიშვნები, რომლებიც არსებობდა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ, ბევრ ნაწილში გამოსწორდა. საკადრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით არის პრობლემები და ბევრი რამ გამოსასწორებელია.“

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაციით, ყველა საჯარო მოხელე კონკურსის წესითაა შერჩეული და ნეპოტიზმის შემთხვევებს ადგილი არ აქვს. მისივე განმარტებით, თუ კანდიდატი გამოცდას ვერ ჩაბარებდა, შესაბამისად, სამსახურშიც ვერ დაინიშნებოდა. ,,ქალბატონო ინგა, როდესაც თქვენ იღებთ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, ეკითხებით თუ არა აზრს კოლეგებს და გადიხართ თუ არა მათთან კონსულტაციებს?“- მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ვარლამ ჭიპაშვილმა.

- „საკრებულოს აპარატში საკადრო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია საკრებულოს თავმჯდომარე. სასურველია, მან გაიაროს გარკვეული კონსულტაციები კოლეგებთან, მაგრამ ეს სავალდებულო არაა. ამიტომ, ჩემს გადაწყვეტილებებს, თუ ვინმესთან შეთანხმებით არ ვაწარმოებ, არც კანონდარღვევაა და არც კოლეგიალობას მოკლებული“- განმარტა ინგა მაღრაძემ.

საკრებულოს წევრმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ინგა მაღრაძის დეპუტატების უმრავლესობასთან კომუნიკაციის არქონის რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა.

„თქვენი ინიციატივით საახალწლოდ ხარაგაულის კინოთეატრში პატარებისთვის საბავშვო ღონისძიება გაიმართა, რომლისთვისაც საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 2 500 ლარი გაეცით. მივესალმები ასეთ აქტივობებს, მაგრამ ამის შესახებ დეპუტატების უმრავლესობას ინფორმაცია არ გვქონდა. ასევე არ გვაცნობეთ, როდესაც გამგეობის სააქტო დარბაზში სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრა მოეწყო. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია,“ - დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

როგორც ინგა მაღრაძემ განაცხადა, 2015 წლის ბოლოს საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯიდან საახალწლო ღონისძიებისათვის 2500 ლარი ნამდვილად დაიხარჯა. რატომ არ ჰქონდა დეპუტატების უმრავლესობას ამის შესახებ ინფორმაცია, საკრებულოს თავმჯდომარემ შემდეგი განმარტება გააკეთა. - „მსგავსი ღონისძიება გასული წლის ბოლოსაც გაიმართა, თუმცა საკრებულოს წევრების მხრიდან დაინტერესება არ ყოფილა. ამიტომ საჭიროდ არ ჩამითვლია ყველა დეპუტატის ინფორმირება მომეხდინა. რაც შეეხება, სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრას, ამის შესახებ განცხადება საკრებულოს სხდომაზე გავაკეთე.“

ვარლამ ჭიპაშვილსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შორის დებატები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის 45 000 ლარი გადაირიცხება

ხარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა 2007 წელს დაიწყო. ტაძარი შემონირულობებით შენდება და ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესი თითქმის დასრულებულია. საკათედრო ტაძრის მშენებლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აქტიურადაა ჩართული. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტაძრის მშენებლობის ფონდში საკმაოდ სოლიდური თანხები გადაირიცხა. მიუხედავად ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც ღიად საუბრობენ, თითქოსდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ტაძრის მშენებლობას ხელს უშლიან. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მკითხველისთვის რომ ნათელი იყოს, განვმარტავთ: 2014 წელს საქართველოს მთავრობის N177 დადგენილებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო შეიქმნა. რის შემდეგაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, რელიგიის კუთხით თანხების გაცემა კანონით დაუშვებელი გახდა. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი დებულების საფუძველზე რელიგიურ-საკულტო ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და სხვადასხვა შენობა-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოებისთვის რეკომენდაციები გასცეს. აქედან გამომდინარე, ვიდრე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თანხმობას არ გასცემს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მშენებარე ტაძრისათვის თანხების გადარიცხვა არაკანონიერია.

რა პროცედურებია საჭირო ადგილობრივი ბიუჯეტიდან მშენებარე ტაძრისთვის თანხების გასაცემად? ამ საკითხთან დაკავშირებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს, ზაზა ვაშაყმაძეს ვესაუბრეთ.

ზაზა ვაშაყმაძე: „იმისთვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მშენებარე ტაძრისთვის თანხები გაიცეს შემდეგი პროცედურებია საჭირო. პირველ რიგში, თუ მუნიციპალიტეტში არსებული რომელიმე რელიგიური ორგანიზაცია მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობას ფინანსური დახმარებისთვის, ეს უკანასკნელი ვალდებულია, რელიგიის სააგენტოს მიმართოს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დებულების შესაბამისად, ასეთი საკითხების განხილვა სააგენტოს „რელიგიური გაერთიანებების ქონებრივ და

გაგრძელება მე-3 გვერდზე

უახლოეს მომავალში პატარა სახლვარს ელექტროენერგია მიეწოდება

სულ მალე პატარა სახვლარს ელექტროენერგია ექნება. სოფელში ელექტროენერგია არასოდეს ყოფილა. სოფლის წინაშე არსებულ პრობლემაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ა/ო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ მიერ პროექტ ,,იმერის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა. შეხვედრის მიზანი გახლდათ, პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კონკრეტული სოფლის შერჩევა და ადგილობრივი ხელისუფლებისა და ,,ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს“ დახმარებით სოფლის წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტა.

პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან სოფელი სახვლარი შეირჩა. პატარა სახვლარში მცხოვრებ ოთხ ოჯახს პირადად შეხვდა ნინო თვალთვაძე, პროექტის კოორდინატორი დავით სარალიძე და გამგებლის პირველი მოადგილე პაატა გოგოლაძე.

ნინო თვალთვაძე (ა/ო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი): სახვლარი იყო ერთადერთი გამორჩეული სოფელი, იმ 10 დასახლებიდან, რომელიც პროექტის ფარგლებში იმერეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეირჩა. სოფელში სულ მუდმივად ოთხი ოჯახი ცხოვრობს. მათი პრობლემა სპეციფიური იყო. სოფელს არასოდეს ჰქონდა ელექტროენერგია და ჩვენ ადვოკატირება გავუწიეთ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. კარგი თანამშრომლობის შედეგად პრობლემა გადაიჭრა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას აქტიური თანამშრომლობისა და პროექტში ჩართულობისათვის.“

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მუნიციპალიტეტის გამგებელი აუდიტის მიერ გამოვლენილ დარღვევებს ეხმიანება

დასაწყისი პირველ გვერდზე

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყებოდა. იქ იყო ძალიან ცუდი მდგომარეობა. მოსახლეობა, არათუ მანქანით, ფეხითაც ვერ გადაადგილდებოდა. 25 წლის განმავლობაში ამ გზას ყურადღება არავინ მიაქცია. ჩვენ შევძელით, იქ სარემონტო სამუშაოები ჩაგვეტარებინა. გზა მოიხრეშა და დაიგრუნტა. თუ ახლა ზოგიერთი მონაკვეთი დაზიანდა, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. იმას აუცილებლად შევაკეთებთ, რაც დაზიანებულია. ხარაგაულში 79 სოფელია და გზა ყველგან ერთდროულად ვერ გაკეთდება.

-აუდიტის დასკვნაში წერია, რომ ხშირად ტენდერები იშლება. ამის შემდეგ კი სამუშაოები გამარტივებული შესყიდვით ხდება და ხელშეკრულებები ძირითადად რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირებულ ინდმეწარმეებთან იდება.

-ერთი წლის განმავლობაში ხარაგაულში 200-300 პროექტი ხორციელდება. ჩვენ ხელშეკრულებას კანონის შესაბამისად ვაფორმებთ და რამდენი დღის წინ დარეგისტრირდა ინდმეწარმე, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. კანონი მას სრულ უფლებას აძლევს, ხელშეკრულება გააფორმოს ნებისმიერ ორგანიზაციასთან. თუ დაკისრებულ მოვალეობას რომელიმე ინდმეწარმე ვერ შეასრულებს, თანხას ვერ მიიღებს.

-როგორც ვიცი შპს „2011-ს“, თქვენი ერთ-ერთი მოადგილის სიმამრი ხელმძღვანელობს. დასკვნაში წერია, რომ შპს „2011-ს“ აქვს მოგება, თუმცა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტრაქტორების საბურავების შესაძენად 10 000 ლარი გადაირიცხა.

-ჩემი მოადგილის სიმამრი იქ რამდენიმე წელია მუშაობს და ახლა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. შპს-ს 4 ტრაქტორი გადაეცა, რომლებიც შეკეთებას საჭიროებდა და სწორედ ამისთვის გადაირიცხა ეს თანხა. აღნიშნული შპს არის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი და საჭიროებისამებრ მისი დაფინანსება ჩვენს უფლება-მოვალეობაში შედის. განვმარტავ, რომ აუდიტის დასკვნაში გამოვლენილ დარღვევებზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი 2014 წლის აგვისტოდან. მიუხედავად იმისა, რომ გამგებელი ვარ 2013 წლის 8 თებერვლიდან, ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა შესყიდვები. ამ ყველაფერს ახორციელებდა იმდროინდელი საკრებულო, რომელიც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული.

- 2014 წელს დაახლოებით 300 000 ლარია გაცემული პრემია-დანამატებზე. ამავე წელს დამატებით 270 ადამიანზე მეტი იქნა დასაქმებული ა(ა)იპ-ებშიც. ამის შესახებ რას იტყვით?

- მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის გამგებელი გავხდი, პრემიების ფონდი საკმაოდ შემცირდა. 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პრემიებზე 207 559 ლარია გაცემული. ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს რიცხვი შემცირდა. 2013 წელს პრემიებზე 205 750 ლარი გაიცა, 2014 წელს - 161 980 ლარი, 2015 წელს - 30 750 ლარი, ხოლო 2016 წელს პირველი კვარტლის ბოლოს - 7 550 ლარი. ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც საჯარო სამსახურში ჩვენ გვყავს იმაზე მეტი დასაქმებული, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს იყო. ახლა თქვენ გააკეთეთ ანალიზი, ვის უფრო მეტი პრემია აქვს გაცემული. პრაქტიკულად ხარაგაულში ჩვენ არ ვიყენებთ იმ ფორმატს, რომელიც პრემიების გაცემის საშუალებას გვაძლევს. მე პირადად 15 თვის განმავლობაში პრემია ერთხელ ავიღე. კანონის ფარგლებში თუ მინიმალურ დანამატს ავიღებთ, ეს არ უნდა გახდეს ჩვენი კრიტიკის საფუძველი.

-აუდიტის დასკვნაში გაზრდილ შტატებზეც იყო საუბარი.

-როცა ხდება ახალი ობიექტების მშენებლობა, ის მოითხოვს დამატებით რესურსს. მაგალითად, ჩვენ ავაშენეთ 7 ახალი საბავშვო ბაღი. ბაღებს დამატებით თანამშრომლები სჭირდებათ. ასევე, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებაშიც“ დავამატეთ კადრები. აღნიშნული ა(ა)აიპ - ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის 70%-ს ემსახურება. მანამდე მხოლოდ 20%ს ემსახურებოდა. შესაბამისად, გაიზარდა კადრები. ხოლო იმ ა(ა)იპ-ებში, სადაც მიგვაჩნია, რომ შტატები საჭიროზე შედარებით მეტია, ვგეგმავთ რეორგანიზაციას.

-რა შენიშვნებს ეთანხმებით აუდიტის დასკვნაში და რას არა?

-არის საკითხები, რომლებშიც ჩვენ მათ ვეთანხმებით და არის საკითხები, რომლებზედაც უკვე მოვახდინეთ რეაგირება. არ ვეთანხმები, როცა ამბობენ, რომ წინა წლებში მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები არ იყო გათვალისწინებული. ჩვენ მაშინდელი შენიშვნების მიხედვით ბევრი რამ შევცვალეთ და გამოვასწორეთ. მაგალითად, შევცვალეთ ა(ა)იპ გაზეთი „ახალი ხარაგაულის“ ფორმატი. სხვა სამსახური ჩამოვაყალიბეთ, რომელიც უფლებამოსილია, გამოსცეს, ამავდროულად გაზეთი, რაშიც ძალიან მინიმალურ თანხებს ხარჯავს. აუდიტს ვეთანხმებით ტექნიკასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებში და ეს მალე გამოსწორდება. მოხდება ასეთი ტექნიკის აღრიცხვა, ჩამოწერა და აუქციონის წესით გაყიდვა.

-„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ სამსახურებში ძირითადად თქვენი ოჯახის წევრები და ნათესავები არიან დასაქმებულები. რას იტყვით არის ნეპოტიზმის შემთხვევები თქვენს მუნიციპალიტეტში?

-დავიწყებ ჩემი ოჯახის აღწერით. მე მყავს მეუღლე, რომელიც არ მუშაობს. ასევე მყავს შვილი, რომელიც არის სტუდენტი და დასაქმებული არ არის. დედა ცხოვრობს სოფელში და მისი ცხოვრება არ განსხვავდება სოფელში მცხოვრები სხვა ადამიანებისგან. რაც შეეხება დედმამიშვილებს, მყავს ორი ძმა და ერთი და. ჩემი და არ მუშაობს და, საერთოდ, ხარაგაულშიც არ ცხოვრობს. ერთი ძმა რუსთავში ცხოვრობს და აქვს მცირე ბიზნესი. უმცროსი ძმა კი ამ ეტაპზე უმუშევარია. ჩემს ოჯახთან დაკავშირებით დაინახეთ სადმე ნეპოტიზმი? რამდენიმე ხნის წინ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად გადმოვიყვანეთ კახა გოლუბიანი ჩემი შვილის ნათლია, რომელიც იყო ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მოვედი, მჭირდებოდა პროფესიონალი კადრი და შევარჩიე ეს ადამიანი. ეს არის ნეპოტიზმი? ისინი, ვინც ნეპოტიზმზე საუბრობენ, სწორედ მათი მმართველობის პერიოდში იყო ნეპოტიზმის შემთხვევები. გარდა ამისა, წინა ხელისუფლების მსგავსად, ადამიანები სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით არ გაგვითავისუფლებია. ხარაგაულს ძალიან ბევრი წარმატება აქვს ჩემი გამგებლობის პერიოდში. იმერეთის მოსახლეობის გამოკითხვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მუშაობა ყველაზე დადებითად შეფასდა. ინოვაციური პროექტების განხორციელების კუთხით ხარაგაული ათ საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა, იმერეთის რეგიონში კი ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი საქართველოში ყველაზე კომპეტენტურად ხარაგაულში ჩატარდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობამ ძალიან სწორად შეაფასა ჩვენი მუშაობა. პირადად მე 65%-მა დამიჭირა მხარი. მომავალი არჩევნები იქნება კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების ტყუილების სჯერა თუ არა ხარაგაულის მოსახლეობას.

ეკა შავიძე
მარიანა გურჯალიანი

უახლოეს მომავალში ჰატარა სახლვარს ელექტროენერგია მიეწოდება

დასაწყისი პირველ გვერდზე

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი) - სოფელი სახვლარი უკვე სარგებლობს მაღალმთიანი სოფლის სტატუსით და იქ მცხოვრებლები დამატებით შეღავათებს მიიღებენ. მნიშვნელოვანია, რომ მაღალმთიან სოფელს მიეწოდოს ელექტროენერგია, რათა იგი, საერთოდ, არ დაიცალოს მოსახლეობისგან. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა და ა/ო ,,ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ“ ურთიერთთანამშრომლობით მოახერხა ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. ჩვენ ვიმყოფებით „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ ტექნიკური პირობის გაცემის მოლოდინის რეჟიმში, რაც ავტომატურად ნიშნავს ქსელზე დაერთებას და ელექტროენერგიის მიწოდებას პატარა სახვლარისთვის.“

რა შენიშვნები აქვთ დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის მიმართ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ვარლამ ჭიპაშვილი - იხსენებთ თუ არა შემთხვევას საკრებულოს სხდომათა დარბაზში, როდესაც პირადად გამომიცხადეთ, რომ ყოველდღე ვარ სალაწუნო და ძალიან კარგი თუ ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა შემაგინა?“

ინგა მაღრაძე - „საკრებულოს სხდომათა დარბაზი, ასევე არის საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახი. აქედან გამომდინარე, როცა სხდომა სრულდება, სრული უფლება მაქვს, დავრჩე ჩემს სამუშაო ოთახში და გავაგრძელო საქმიანობა. თუ ამ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას არ მომცემს, თუნდაც საკრებულოს წევრი, ბუნებრივია, მექნება რეაქცია. რეაქცია, რომელიც შეიძლება იყო გადამეტებული ჩემი მხრიდან, იყო სწორედ იმ წინა ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომელიც თქვენი მხრიდან ხორციელდებოდა როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ. ყველანი ადამიანები ვართ და გარკვეული ემოციური მდგომარეობის მართვას ზოგჯერ ვერ ვახერხებთ.“

ვარლამ ჭიპაშვილი - „აქვთ თუ არა კომისიებს თავიანთი საქმიანობის წარსამართად ტრანსპორტით უზრუნველყოფა? განსაკუთრებით მაინტერესებს მიწის კომისია.“

ინგა მაღრაძე- „ამ ეტაპზე ვერ ხერხდება კომისიების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ავტომობილი არის დაზიანებული და მისი აღდგენა დიდ ფინანსურ რესურსს საჭიროებს. თუ საკრებულოს ბიუჯეტში გამოძებნება ფინანსური რესურსი, ვეცდებით, შევაკეთოთ. რაც შეეხება მიწის კომისიას, მანქანა არ ჰყავს, რადგან, როდესაც ჰყავდა, ვერ მოხდა მისი ჯეროვანი განკარგვა.“

ვარლამ ჭიპაშვილი - „მაინტერესებს, თქვენი შვებულებაში ყოფნის პერიოდში და არასამუშაო დღეებში, თუ სარგებლობდნენ თქვენი ავტომობილით სხვა თანამდებობის პირები?“

ინგა მაღარძე- „საკრებულოს თავმჯდომარის პერსონალური მომსახურების ქვეშ იმყოფება ერთი ავტომობილი. მანქანა ამ უფლებამოსილების ფარგლებს არ სცდება. არ ხდება მისი პირადი და შვებულების პერიოდში გამოყენება.“

ვარლამ ჭიპაშვილი - „საკრებულოს სხდომებზე, ხშირ შემთხვევაში, თქვენ მხარს არ უჭერთ ისეთ პროექტებს, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანია. თქვენ მხარი არ დაუჭირეთ ასევე 2016 წლის ბიუჯეტს. თუმცა, სულ რაღაც ორი კვირის წინ, საკრებულოს ხარჯების გაზრდის ინიციატორი ბრძანდებოდით.“

ინგა მაღრაძე - „ჩვენი მოტივაცია იმაში არ მდგომარეობდა, 2016 წლის ბიუჯეტი ჩავარდნილიყო. ჩვენ გვქონდა გარკვეული შენიშვნები, რომლის გათვალისწინებაც არ მოხდა და სწორედ ამიტომ არ დავუჭირეთ ბიუჯეტს მხარი.“

ვარლამ ჭიპაშვილი - „რამდენიმე ხნის წინ ფუნქციონირება დაიწყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურმა „facebook“ გვერდმა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის გარდა, არც ერთი დეპუტატის საქმიანობის შესახებ არაა განთავსებული ინფორმაცია. რას ნიშნავს ეს, ხარაგაულის მუნიციპალტეტის საკრებულო მხოლოდ თქვენით შემოიფარგლება?“

ინგა მაღრაძე- „საკრებულოს ოფიციალური „facebook“ გვერდი ახალი შექმნილია. საკრებულოს აპარატში გვყავს ამაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გვერდს ადმინისტრირებას უწევს. თუ ამ მიმართულებით რაიმე გამოსასწორებელია, აუცილებლად შევისწავლით“.

საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილა ყურადღება მისმა მოადგილემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ.

„თქვენ გყავთ პირადი მდივანი, პირადი მრჩეველი, პირადი პრეს-ცენტრი, პირადი ტექნიკური მომსახურება. ბიუჯეტის შედგენის დროს ვერ გაითვალისწინეთ ყველა ეს ხარჯი და გამგეობიდან დამატებით 15 ათასი ლარი მოითხოვეთ. ამდენ პირად საშტატო ერთეულს, ბუნებრივია, ის თანხები, რომელიც დაგეგმილი იყო ბიუჯეტში ვერ გაწვდებოდა. თქვენ ბრძანეთ, რომ დადიხართ უცხოეთში და იქ მიღებულ გამოცდილებას ხარაგაულში იყენებთ. თქვენც და ზოგიერთი ჩვენი კოლეგაც უცხოეთში გახდნენ ტურისტები და არა საქმის გამკეთებლები. არაკორექტულად იქცევით სხდომებზე. დეპუტატებს მიმართავთ - „ავადმყოფი“, „საცემი“, „დასალენი ხარ“ და ა.შ. საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 12 ათასი ლარი დახარჯეთ და რაში ამის შესახებ ბიუროს წევრებმაც არ ვიციით. შვიდი თვის განმავლობაში, ამორტიზებულ მანქანაზე იხარჯებოდა თანხები. მანქანა იდგა თქვენი პირადი მძღოლის ეზოში და მასზე საწვავი იწერებოდა“.

ინგა მაღრაძე - „ტრანსპორტთან დაკავშირებით საქმეს ნამდვილად მოვიძევ, რადგან არაკანონიერ საქმიანობასთან კავშირი არ მაქვს. რაც შეეხება პირად მრჩეველს, მდივანს და ა. შ. მაღალი თანამდებობის პირებს კანონი აძლევს შესაძლებლობას, ჰყავდეს დამხმარე პერსონალი, “ - განმარტა ინგა მაღრაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარესა და დეპუტატებს შორის კოლეგიალობასთან დაკაშირებით ხმამაღალი განცხადება გააკეთა ასევე საკრებულოს წევრმა მარინა ვეფხვაძემ და ინგა მაღრაძეს უფრო მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

2015 წელს განეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეაფასა საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით კიკნაძემ.

„თქვენ ამბობთ, რომ საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობის ინიციატორი იყავით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. 2014 წელს, როდესაც საღანძილის ამომრჩეველთან შეხვედრებს ვატარებდი, მათი მხრიდან წამოვიდა იდეა, რომ სოფელში საბავშვო ბაღი აშენებულიყო. მოვიძიე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სია და წერილობითი თხოვნით მივმართე მუნიციპალიტეტის გამგებელსა და მაჟორიტარ დეპუტატს. ჩემს ამომრჩეველთან ღიად განვაცხადე ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ საღანძილეში საბავშვო ბაღი აშენებულიყო და მუნიციპალიტეტის გამგებლის დახმარებით ეს პრობლემა გადაიჭრა კიდეც.“- აღნიშნა დავით კიკნაძემ.

საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს დეპუტატებთან კოორდინაციია არ გააჩნია.

„ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში ყველაზე მწვავედ დგას. ამ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრა მოეწყო, თუმცა თქვენ არ შემატყობინეთ. დაგერეკათ და გეცნობებინათ. ძალიან მინდოდა მათთან შეხვედრა და იმის გახსენება, რას შეგვპირდნენ სამი თვის წინ“ - დასძინა ბატონმა დავითმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, ანგარიშის შეფასებების მოსმენის შემდეგ განმარტა - „ჩემთვის ის არაა მთავარი, როგორ შეაფასებენ ჩემს ანგარიშს, ჩემთვის მთავარია, რა შენიშვნები გამოითქმება და რა ხარვეზები არსებობს ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით, რათა შემდგომში გამოვასწორო“.

საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის შესახებ უფრო ვრცლად დეპუტატები 4 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი კიცხისა და ბორის მოსახლეობას შეხვდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, დავით დევდარიანი, თემურ ჩხეიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სოფელ კიცხისა და ბორის მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით გაიმართა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში 15 000 ლარი გამოიყო, რაც შეეხება ბორს, მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 8 000 ლარი დაიხარჯება.

შეხვედრის დასაწყისში, კობა ლურსმანაშვილმა, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება და ადგილობრივებს აცნობა, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფო პროგრამაში უკვე ჩასმულია კიცხისა და ლაშის გაზიფიცირება.

„კიცხის ზონა ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება. აღსანიშნავია, რომ აქ ძალზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. გაიხსნა რძის გადამამუშავებელი კოოპერატივი ,,სარგო“. უახლოეს მომავალში ფუნქციონიერებას დაიწყებს ,,მეღვინეობა კიცხი“. მოასფალტდა კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზა. აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, სარიტუალო დარბაზი. უმოკლეს დროში გაიხსნება საზოგადოებრივი სახლი, რომლითაც ადგილობრივებს მუნიციპალურ და მოთხოვნად სერვისებზე ხელმისაწვდომობა ექნებათ. ასევე ვგეგმავთ საქარიქედიდან-ბორამდე გარე განათების ქსელის მოწყობას. რამდენიმე ხანში, ბორის სკოლა პანსიონში ფუნქციონირებას დაიწყებს შშმ პირებისათვის ,,დღის ცენტრი“. ამავე ცენტრის ბაზაზე განხორციელდება ახალი სოციალური პროგრამა, რომელიც უსინათლოებისათვის ბრაილის შრიფტით სწავლებას ითვალისწინებს. ასეთი პროექტების განხორციელება კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სოფლებში არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის მოგვარებას,“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში დახარჯული თანხა 20 მილიონს აღემატება.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამებით კიცხში მცხოვრებმა 1776 ადამიანმა ისარგებლა. ბატონმა კობამ ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან პროგრამებზე და მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ივნისის ბოლოს ხარაგაულს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო ექნება.

შეხვედრაზე, დებატები გაიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილსა და კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატ უჩა ბერაძეს შორის. უჩა ბერაძე სოფელ კიცხში საზოგადოებრივი სახლის მშენებლობას ეწინააღმდეგება და აღნიშნავს,რომ საზოგადოებრივ სახლზე უფრო ხალხს წყალი, გზა და სტადიონი სჭირდება.

კობა ლურსმანაშვილის თქმით „საზოგადოებრივი სახლი კიცხის და სხვა სოფლების მოსახლეობას 200-მდე სახის მომსახურებას გაუწევს. ამავე შენობაში განთავსდება ბიბლიოთეკა და ინოვაციების ცენტრი. ასევე გამგებლის წარმომადგენლის და დეპუტატის სამუშაო ოთახი. რაც შეეხება სოფელ კიცხში არსებულ სტადიონს, გასულ წელს ამ კუთხით 2000 ლარი დაიხარჯა. თუმცა, სტადიონი მოუვლელია და არანაირი აქტივობა იქ არ დაგეგმილა.“

კობა ლურსმანაშვილმა წყლის სისტემაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი თანხებია დახარჯული, თუმცა შესატყვისი შედეგი არ ჩანს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა სოფელში მოვაგვაროთ წყლის პრობლემა.“

შეხვედრებზე მოსახლეობამ საკუთარი აზრი გამოთქვა სოფელში არსებულ პრობლემებზე და მათთვის პრიორიტეტული პროექტები დაასახელა.

სოფელ კიცხში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ გამოყოფილი 15 000 ლარი შემდეგ პროექტებზე გადანაწილდება: ჯიმშიაშვილების უბანში დაახლოებით 50 მეტრზე დაიგება ბეტონის საფარი.გიორგაძეებისა და ჩხიკვაძეების უბანში შეიძენენ 10 და 8 ტონიანი წყლის ავზს, კვანტრიშვილების, ჭუბაბრიებისა და ოქრომჭედლიძეების უბანში გზებს გაუკეთდება სანიაღვრე არხები და წყლის სათავე ნაგებობა მოწესრიგდება, კიცხის მემორიალზე მოეწყობა შესასვლელი კარი. რაც შეეხება ბორს, 8 000 ლარით სოფელში, ბერაძეების უბანში შეკეთდება სოფლის წყარო და შეძენილი იქნება წყლის მილები . ასევე პავლაძეების უბანში, გზის გარკვეულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება.

ეკა შავიძე

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულში მაცხოვრის შობის საპატიოდ ტაძრის მშენებლობისათვის 45 000 ლარი გადაირიცხება

დასაწყისი პირველ გვერდზე

ფინანსურ საკითხთა შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიაში“ ხდება. კომისია იღებს გადაწყვეტილებას და სცემს შესაბამის რეკომენდაციებს. კომისიის რეკომენდაციის გარეშე ადგილობრივი თვითმმართველობა თანხას ვერცერთ შემთხვევაში ვერ გასცემს,“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზაზა ვაშაყმაძემ.

საუბრის დროს ბატონ ზაზას ვთხოვეთ დაეკონკრეტებინა, რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე რელიგიის სააგენტოდან რეკომენდაციის გაცემა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულში მშენებარე ტაძარს თანხები ჩაერიცხოს. როგორც ბატონმა ზაზამ განმარტა, ეს საკმაოდ ვრცელი თემაა და სატელეფონო საუბარში ამის ახსნა ვერ მოხერხდებოდა. როგორც მან აღნიშნა, ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ საკითხების მოგვარებაში აქტიურად არიან ჩართულნი და ყველანაირად ცდილობენ, საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გადაირიცხვას.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულში მშენებარე საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში 2013 წლამდე 49 000 ლარია ჩარიცხული, ხოლო 2013 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეგელი კობა ლურსმანაშვილია, ტაძრის მშენებლობის ფონდში 168 000 ლარი ჩაირიცხა. ბოლო ორი წლის მონაცემებით (2013-2014 წწ.) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის რელიგიის მუხლიდან სულ 302 200 ლარი დაიხარჯა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან მიღებული თანხმობის საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გასარემონტებლად - 25 000 ლარი ჩაირიცხა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ასევე მზადყოფნაშია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან მიღებული თანხმობის საფუძველზე ხარაგაულში არსებულ სამლოცველო სახლის სარემონტო სამუშაოებისათვის 13 000 ლარი გადარიცხოს.

გაზეთის მომზადების პროცესში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან წერილი შემოვიდა. როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, რელიგიის სააგენტომ გასცა რეკომენდაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მშენებარე საკათედრო ტაძრისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხები გადაირიცხოს.

„მოგმართავთ რეკომენდაციით, ფინანსური დახმარების განევის შემთხვევაში, თანხა გამოყოფილ იქნას შესაბამისი რელიგიური მიზანშეწონილობით მარგვეთისა და უბისის ეპარქიისათვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემდგომი მონიტორინგის უზრუნველყოფით,“ - ნათქვამია წერილში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან მიღებული თანხმობის საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის 45 000 ლარი გადაირიცხება.

თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ წერილის სრულ ვერსიას.

ეკა შავიძე

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

LEPL The State Agency for Religious Issues

N 1/253
30/03/2016

253-1-2-201603301810

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რეკომენდაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას

2016 წლის 30 მარტი

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განსახილველად მიიღო თქვენს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ხარაგაულის რაიონში მდებარე მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრისათვის, ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

შუამდგომლობის სრულყოფილი შესწავლის შემდგომ, საკითხი განსახილველად წარედგინა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულ „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიას“ (2016 წლის 25 თებერვლის სხდომის ოქმი N1).

კომისიამ სრულყოფილად შეისწავლა წარმოდგენილი მასალები, მოისმინა საქართველოს საპატრიარქოს წარომადგენლის მიქაელ ბოტკოველის დადებითი პოზიცია და დაადგინა, ხარაგაულის რაიონში მდებარე მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრისათვის ფინანსური დახმარების მიზანშეწონილობა, ტაძრის გუმბათისპირა თაღების და ფრთების, აგრეთვე გუმბათის ყელის მოსაწყობი სამუშაოებისათვის. შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, ფინანსური დახმარების გაწევის შემთხვევაში, თანხა გამოყოფილ იქნას შესაბამისი რელიგიური მიზანშეწონილობით მარგვეთისა და უბისის ეპარქიისათვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემდგომი მონიტორინგის უზრუნველყოფით.

პატივისცემით,

ზაზა ვაშაყმაძე

თავმჯდომარე

„ჩვენ ერთმანეთის ვაკვირდით, ვაცოცხლეთ...“

ხარაგაულის რკინიგზის სადგურთან მიმდებარე ულამაზეს ფერდობზე ერთი სათუთად მოვლილი ეზო-კარია. მშრომელი კაცის მარჯვენითა და შესატყვისი უნარ-გემოვნებით თითქმის ოაზისად ქცეულ ამ უმშვენიერესი ეზოდან წელთა მიღმა საკუთარ პროფესიაზე ორი უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი ერთი განუყოფელი გზით მიეშურებოდა ხარაგაულის მე-2 საშუალო (ამჯერად მეორე საჯარო) სკოლისაკენ. ერთი დიდი იაკობ გოგებაშვილის მადლიანი „დედაენით“ უკაფავდა პატარებს გზებს ცოდნის მწვერვალებისაკენ, მეორე კი მშობელი ქვეყნის ისტორიის ლაბირინთებში ამოგზაურებდა საქართველოს საიმედო მომავალს - სწავლასა და შრომაზე შეყვარებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს...

ორივემ ნათელი კვალი აღბეჭდა ხარაგაულის პედაგოგიური ყოფის მატიანეში. დღეს კი გარდასულ დღეთა მოგონებებით ავსებენ ერთურთის ცხოვრებას და სასარგებლო რჩევებით უშურველად ათბობენ და ახალისებენ მეზობლის, მეგობრის, მოკეთის გულებს.

ჩვენი რესპონდენტები ხარაგაულის საზოგადოების თვალსაჩინო მანდილოსნები - კლარა გოგოლაძე და თამარ ხევსურიანი - არიან. მათი საუბრის მოსმენით კიდევ ერთხელ რწმუნდები, თუ რა არის ამქვეყნად ყველაზე დიდი ფასეულობა, რომლისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ. საშურ საქმედ მივიჩნევდეთ დროის უკიდეგანო სივრცის იმ ძალზე მოკლე მონაკვეთში, რომელიც ზენაარს ჩვენთვის უბოძებია.

რატომღაც ქალბატონი კლარა უძველესი სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი გვგონა.

- არა, მე იმერელი ვარ, ძირძველი იმერელი, - ღიმილით გვპასუხობს ქალბატონი კლარა გოგოლაძე.

- დიდი სამამულო ომის შემდეგ, გარკვეული თვალსაზრისით, ბჟინევისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა ახალციხის რაიონში ჩაასახლეს. მე მაშინ მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი . ასე რომ, ვერტყვიჭალის სკოლიდან სოფელ წნისში გადავინაცვლე ოჯახთან ერთად. ჩემს ცხოვრებას უქრობ შუქურად ანათებს ახალციხის პედასსწავლებლის დირექტორის, მიხეილ ჩინჩალაძის, სახელი. (შემდეგში პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, უამრავი სამეცნიერო შრომის ავტორი.) ის იყო ჭეშმარიტი პედაგოგი. მან შემაყვარა ეს საკმაოდ რთული სპეციალობა და მისი შთაგონების მადლია, რომ შემდგომ სრულვყავი ჩემი განათლება და იმჟამინდელი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. მისი საყვარელი ფარაზა იყო „ყველა ადამიანში არის მზე. ეცადე, აანთო იგი.“ მე მუდამ ამ პრინციპით ვსაზრდოობდი მოსწავლეებთან. იმაზე დიდი სიხარულის განცდა არ არსებობს, როცა გრძნობ, რომ მოსწავლეს უყვარხარ. ეს ადვილად შეიძლება, ამოიკითხო მის თვალებში. ჩემი აზრით, მასწავლებლის უპირველესი მიზანია, დაარწმუნო მოსწავლე თავის შესაძლებლობებში, მისცე მას სტიმული, რომ სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა ყველა ბარიერს გადაალახვინებს და აუცილებლად მიაღწევინებს მიზანს. ჩემთვის მიუღებელია მასწავლებლისგან ისეთი უტაქტო ქმედება, რაც ამცირებს და შეურაცხყოფს მოსწავლის პიროვნულ ღირსებას. ასეთი რამ მოზარდს გულს სტკენს და იშვიათად ავიწყდება. მოსწავლეებთან ურთიერთობაში სანერვიულო და გასაბრაზებელი ყოველთვის ელოდება მასწავლებელს, მაგრამ თუ მოსწავლეს სალანძღავ სიტყვებს მივაგებებთ, ამით ისევ ჩვენს თავს ვაზიანებთ. აბა დიდი რუსთველი გავიხსენოთ, რა სიტყვებით გვმოძღვრავს: „კოკასა შიგან რაცა სდგა, იგივე წარმოსდინდების“. ჩემი ორმოცდათოთხმეტწლიანი პედაგოგიური ცხოვრების დროს არაერთხელ შემიხსენებია ეს სიბრძნე ახალბედა პედაგოგებისათვის, რასაც ყოველთვის სასიკეთო შედეგი მოჰყოლია. ახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, გარწმუნებთ, კვლავ პედაგოგობას ავირჩევდი.

აღბათ, უფლის ნება იყო, რომ ახალციხიდან კვლავ იმერეთს დავუბრუნდი. ჩემი ბედი ღირსეულ პიროვნებას, საშა ბერაძეს, დავუკავშირე. ის იყო შრომისმოყვარე და ძალზე აქტიური პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, სამეურნეო საქმიანობასაც ასწრებდა: ამუშავებდა მიწას, უვლიდა ფუტკარს, ოჯახში ყველა მუშაობდა, ნანა და დათო კარგად სწავლობდნენ. ნანამ წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ჩაბმულია ჯანდაცვის სფეროში. ძალიან ვწუხვარ, რომ დათო ვერ ახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზებას. ის უმუშევარია. თუმცა, ოჯახში ძალიან ბევრს შრომობს. არ უყვარს საქმის გადადება. ბევრს კითხულობს. „დათა თუთაშხია“ მისი სამაგიდო წიგნია.

ტკბილად ვიგონებ იმ წლებს, რომლებიც დაბის მე-2 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ფარცხნალისა და მარელისის სკოლებში გავატარე. ენით აუწერელი სიხარული განვიცადე, როცა სრულიად მოულოდნელად მეწვივნენ ჩემი მარელისელი მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად. „არ იფიქროთ ვინმემ ურჩია თქვენს მოსანახულებლად წამოსვლა. გვთხოვდნენ და გვევედრებოდნენ: დაგვეხმარეთ, ჩვენი კლარა მასწავლებელი ვნახოთ და მივეფეროთო,“ მითხრა პედაგოგმა ეკა ქურდაძემ. იმ წუთებში უბედნიერესი ვიყავი. ყოველი სატელეფონო ზარი და მოკითხვა მახალისებს, რადგან ჯანმრთელობა ხელს აღარ მიწყობს და გადაადგილება მიჭირს, ჩემთვის ასეთი ყურადღება ყველაფერია.

თამარ ხევსურიანი: „მასწავლებლობა მშობლების გავლენით ავირჩიე. დავამთავრე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 25 წელი ვასწავლიდი ისტორიას ხარაგაულის მე-2 საშუალო სკოლაში. ჩემთვის არ არსებობდა ცუდი ბავშვი. ყველაზე ძნელად დასამორჩილებელ მოსწავლესთანაც ადვილად ვნახულობდი საურთიერთო გზას. მიმაჩნია, რომ მოსწავლე მასწავლებელში უფროს მეგობარს უნდა ხედავდეს, მაგრამ არასოდეს უნდა გადასცდეს იმ დისტანციას, რაც მათ შორის არსებობს. ეს ჩემი მშობლიური სკოლაა, მე მისი კურსდამთავრებული ვარ. ეს სახელოვანი ტრადიციების მქონე სკოლაა და მახარებს მისი ყოველი წარმატება. სამწუხაროდ, ძალიან ადრე, 53 წლის ასაკში, დავემშვიდობე ამ უწმინდეს კედლებს და საყვარელ პედაგოგიურ კოლექტივს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ ჩამომაშორა ჩემს სანუკვარ საქმეს. შეუძლებელი შეძლეს ჩემმა შვილებმა ჩემი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ნანას პრინციპულმა გადაწყვეტილებამ გაიმარჯვა თუმცა, ამის გამო, მან ძალიან ბევრი რამ დააკლო თავის თავსა და თავის სამომავლო კარიერას. ის კარდიოლოგობაზე ოცნებობდა, სტაჟირებას ჩაფიძის კლინიკაში გადიოდა, სადაც საიმედო პერსპექტივა არსებობდა მისი სამომავლო მიზნებისათვის. ის დარაჯად უდგას ჩემს ჯანმრთელობას, ყურადღებას და სითბოს არ აკლებს 86 წლის ბებოს, ქალბატონ კლარას, რომელსაც ჩემი შვილები სიყვარულით კალიკოს ეძახიან. არის ერთადერთი ძმის მოსიყვარულე და. მე და კლარა ნანასა და დათოს იმედით ვცხოვრობთ. ისინი გვიადვილებენ ოჯახიდან გასული ძვირფასი ადამიანების, საშა და ნოდარ ბერაძეების, დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს და ცდილობენ, სწორად იარონ იმ გზით, რაც ამ ოჯახის თავკაცებმა უანდერძეს.

ნანა ბერაძე (ჯანდაცვის იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე): „მე მუდამ თან დამდევს საშა ბაბუს შეგონება: „ნებისმიერი კეთილი საქმე გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. შენი პირადი კეთილდღეობა აუცილებლად უნდა შეუხამო ოჯახის საჭიროებას.“ ამიტომ, ჩემი აზრით, ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა დედაქალაქიდან ჩემს კერას დავუბრუნდი. მამა წყნარი, კეთილშობილი ადამიანი იყო. ყოველთვის იმედის მომცემი; არასოდეს არ მტოვებდა განსაცდელის დროს, ჩვენ საოცარი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ამავე დროს უზომო პატივისცემით ვეპყრობოდი. ძალიან მენატრება... ყოველთვის მიმიხარია ჩემს ოჯახში. ჩვენ ვსაუბრობთ ყველაფერზე. მეამაყება ჩემი ოჯახის ტრადიციები, ყველაზე მთავარი - „სტუმარი“ და „სტუმარმასპინძლობა“. კარიერული წარუმატებლობის ყოველგავარი ტკივილი მეხსნება, როცა ჩემი ცოდნისა და გამოცდილების შედეგს ვხედავ დედის მადლიერებით აღსავსე თვალებში.“

მარიანა ბურვალიანი
მერი გიორგიძე

ხარაგაულში ნარკომანიის წინააღმდეგ აქცია მოეწყო

არა ნარკომანიას! - ამ ლოზუნგით გამართეს ნარკომანიის წინააღმდეგ სოციალური აქცია დაბა ხარაგაულის N 3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა (სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ვარლამ ჭიპაშვილი). აქცია სკოლიდან დაიწყო და დაბის ქუჩებში გაგრძელდა.

პედაგოგის, ვარლამ ჭიპაშვილის, თქმით აქცია სოციალურ-შემეცნებით ხასიათს ატარებს, რომელშიც ბავშვები დიდი მონდომებით ჩაერთვნენ : „ეს მუხტი ბავშვებისგან მოდის. ისინი ცდილობენ უფრო მეტი შეიტყონ იმ სენის შესახებ, რომელსაც სამყარო საუკუნეებია ებრძვის. მათ მოიძიეს ინფორმაცია, დაამზადეს ლოზუნგები და კიდევ ერთხელ შეახსენეს საზოგადოებას, რომ ნარკოტიკი გამოსავალი არ არის!“

სიახლეები ხარაგაულის საჯარო სკოლებში

სოფელ მარელისის დაწყებით სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ამის შესახებ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, დირექტორებთან გამართულ თათბირზე ისაუბრა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტომ ჩაატარა და პროექტის ფარგლებში 70 000 ლარი დაიხარჯა.

,,ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მოვინახულეთ მარელისის დაწყებითი სკოლა. ეს შენობა ათი წელია, აღარ ფუნქციონირებს და მოსწავლეებს ადმინისტრაციული შენობის ერთ ოთახში უწევდათ სწავლა. ახლა შენობა იდეალურ მდგომარეობაშია და სოფელში მცხოვრებ ბავშვებს საშუალება, ეძლევათ განათლება სახლთან ახლოს მიიღონ. გარდა ამისა, მარელისის საჯარო სკოლაში მოეწყო სპორტული დარბაზი. ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენლებმა საქარიქედისა და ღარიხევის დაწყებითი სკოლების შენობებიც მოინახულეს. ღარიხევის სკოლის რეაბილიტაცია უკვე გადაწყდა, რაც შეეხება საქარიქედის დაწყებით სკოლას განათლების სამინისტროში მიმდინარეობს მოლაპარაკება“ - განმარტა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა.

დავით კიკნაძის თქმით ხარაგაულის საჯარო სკოლებში დაგეგმილია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ბორის სკოლა-პანსიონში 77 000 ლარიანი პროექტი ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც მოხდა პირველ კორპუსზე კარ-ფანჯრების გამოცვლა. ამ შენობის პირველ სართულზე შშმ ბავშვთა „დღის ცენტრი“ განთავსდება, რომლის რეაბილიტაციისთვის თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა. ბორის სკოლა-პანსიონში ასევე საუბარია სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაზე. იგეგმება კიცხში ახალი საჯარო სკოლის აშენება. რაც შეეხება დაბის სკოლებს, მესამე სკოლაში სპორტულ დარბაზს რეაბილიტაცია და შენობის სახურავს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება. მეორე საჯარო სკოლაში კი სასკოლო ბუფეტის გახსნა და დახურული სპორტული დარბაზის მონყობა იგეგმება.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვარის საჯარო სკოლის შენობაზეც გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ მიმდინარებს ინტენსიური მოლაპარაკებები, რათა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სკოლის შენობის გადაცემა მოხდეს. ქონების ჩვენს ბალანსზე დარეგისტრირების შემდეგ სკოლის სარემონტო სამუშაოები დაიწყება.

„ჩვენი დიდი სურვილია, ხარაგაულელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მათ განვითარებას შეუნყობს ხელს. ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად ჩვენ ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ,“- განმარტა საუბრის დასასრულს დავით კიკნაძემ.

ეკა შავიძე

ახლადგარემონტებული მარელისის საჯარო სკოლა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადის II ტური ჩატარდა

31 მარტს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადის II ტური გაიმართა. ოლიმპიადის ორგანიზატორია საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია. მეორე ტურში მონაწილეობას იღებდა სოფელ ვაშლევის და დაბის მე-2 საჯარო სკოლების VII-XI კლასების მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

აღნიშნული ოლიმპიადის მიზანი ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ და სპორტულ აქტივობაში მასობრივი ჩართულობის სტიმულირება, ფიზიკური აღზრდა-განათლების ხელშეწყობა, სასკოლო-სპორტის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება და ოლიმპიზმის პოპულარიზაციაა.

ბავშვებმა თავიანთი ნამუშევრები კომისიას ღია განხილვის წესით ვიდეო-პროექტორის მეშვეობით წარუდგინეს. პრეზენტაციების თემები ქართული ეროვნული სპორტისა და სათამაშო სახეობის ისტორიას შეეხებოდა.

ჟიურის წევრები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, რესურსცენტრის თანამშრომლები: თინათინ ბოჭორიშვილი, ნანა ხიჯაკაძე და ნათია კაციტაძე და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი, დავით ჩადუნელი გახლდნენ.

ჟიურის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა სოფელ ვაშლევის სკოლის გუნდმა, რომელსაც დებულების მიხედვით უფრო სრულყოფილად ჰქონდა წარმოდგენილი ნაშრომი. პრეზენტაცია სახელწოდებით ,,ქართული ეროვნული სპორტის და სათამაშო სახეობების ისტორიიდან“ IX კლასის მოსწავლემ, გიორგი ლურსმანშვილმა, მოაწყო. ვაშლევის საჯარო სკოლის მოსწავლეები, სოფლის უხუცესებს შეხვდენენ და მათგან მივიწყებულ ქართულ ეროვნულ სპორტულ თამაშებზე ინფორმაციები ჩაიწერეს, რაც პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს. ოლიმპიადის მნიშვნელობაზე ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბავშვთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა, უფრო მეტი მოსწავლე დაკავდეს აქტიური სპორტით: „ოლიმპიადის მიზანია მოსწავლეების ფართო ფენების ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში . მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სპორტის ისტორია და, რაც მთავარია, ახალგაზრდები უნდა ცხოვრობდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ამ ოლიმპიადით ბავშვები დაინტერესებული არიან და მათგან დიდი მუხტი მოდის. მე-2 საჯარო სკოლამ მოაწყო პრეზენტაცია, სადაც განხილული იყო ყველა ოლიმპიური თამაში და მოცემული იყო ინფორმაცია ქართველ ოლიმპიელებზე. რაც შეეხება სოფელ ვაშლევის საჯარო სკოლას, ბავშვებმა სოფელ-სოფელ შეაგროვეს ცნობები ხალხში გავრცელებული სპორტული თამაშების შესახებ და ამაზე ააგეს პრეზენტაცია.“

მარიანა ბურჯალიანი

„ჩხერიმელამ“ პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა

ხარაგაულის ,,ჩხერიმელამ“ გასვლითი მატჩი ტყიბულის ,,მეშახტესთან“ 1:0 მოიგო. გოლი მატჩის 70-ე წუთზე გიორგი ცაგარეიშვილმა გაიტანა. ამ მოგებით ,,ჩხერიმელამ“ პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მომდევნო თამაში ხარაგაულის ,,ჩხერიმელამ“ 28 მარტს ,,გაგრასთან“ გამართა. თამაში ხარაგაულის სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის სტადიონზე მიმდინარეობდა და კვლავ ,,ჩხერიმელას“ სასარგებლოდ 1:0 დასრულდა. ამ გამარჯვებით საფეხბურთო გუნდმა „ჩხერიმელამ “ სატურნირო ცხრილში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა .„ჩხერიმელა“ შემდეგ შეხვედრას 4 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტში ხობის ,,კოლხეთთან“ გამართავს.

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო განათლების ცენტრი“

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მეორე წელია, ხორციელდება პროექტი „სამოქალაქო განათლების ცენტრი“, რაც გულისხმობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის (თითო სკოლიდან თითო მოსწავლე) საჯარო ლექციების წაკითხვას. ლექციები ეხება სამოქალაქო საზოგადოების გარშემო არსებულ თემებს, კონკრეტულად ესაა: სახელმწიფოს არსი, მოქალაქის როლი სახელმწიფოში, ადამიანის უფლებები, ქალთა ძალადობა და გენდერული დისკრიმინაციის საკითხები.

პროექტის მეორე ეტაპი 11 მარტს დაიწყო და სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება. ლექციები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარემ გიორგი სანტურიანმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა ნინო ხაჭაპურიძემ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძემ წაიკითხეს. პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ფიზიკურ პირს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა

სოფელ ფონაში მცხოვრებ პაატა და ტარიელ ნოზაძეებს და გოლათუბანში მცხოვრებ თამარ გუდაძესა და შმაგი ჩიტაძეს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭათ. აღნიშნული საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს“ რიგით N1 სხდომაზე იქნა განხილული. მაღალმთიან სოფელში მცხოვრები პირის სტატუსის მისაღებად მოქალაქემ შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს, დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ კომისია ორი თვის განმავლობაში შეისწავლის საკითხს და ამის შემდეგ შესაბამის რეკომენდაციას გამგებელს წარუდგენს. საბოლოოდ სტატუსს ფიზიკურ პირს მუნიციპალიტეტის გამგებელი ანიჭებს.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მინიჭების მიზნით , ფიზიკურმა პირმა გამგებელს შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს. განცხადებას თან უნდა დაერთოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში 9 თვის ან მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების და ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხარაგაულის„მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს“ თავმჯდომარე წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი გია ჭიპაშვილი გახლავთ. მოადგილე საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლევან ნანიტაშვილი, საბჭოს მდივანი ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნინო ფერაძე. საბჭოს წევრები არიან:

თამარ სულაქველიძე(იურდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი),

ზურაბ კვინიკაძე(წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი),

ალექსანდრე ტაბატაძე (სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი)

სავლე შარიქაძე (აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი).

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში 6 სოფელი შედის: გოლისი, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა, ნუნისი და პატარა სახვლარი.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი უახლოეს მომავალში შესაძლოა ასევე მიიღოს წიფამ, ზვარემ, ჩრდილმა და ნადაბურმა. ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი ხარაგაულში დაახლოებით 173 ფიზიკურ პირს მიენიჭა.

ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის XI კლასის მოსწავლემ, ფერიდე ბერაძემ, ერთი წლით ამერიკაში სწავლის უფლება მოიპოვა

ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის XI კლასის მოსწავლე , ფერიდე ბერაძე, flex-ის კონკურსის ფინალურ ეტაპზე გადავიდა და ერთი წლით ამერიკაში სწავლის უფლება მოიპოვა.

„dreams come true“ - ოცნებები ხდება! - ასე შეაფასა წარმატება ფერიდე ბერაძემ ფეისბუქის პირად გვერდზე, როდესაც მისთვის მოულოდნელად ტელეფონზე დაურეკეს და flex-ის კონკურსში გამარჯვება აცნობეს.

ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორი ჰამლეტ ბერაძე ფერიდეს წარმატებას სკოლისა და, ზოგადად, ხარაგაულის წარმატებად თვლის. „ფერიდემ მეორედ სცადა flex-ის კონკურსში ბედი და ამჯერად წარმატებულად. გასულ წელს ის ფინალურ ეტაპზე გავიდა, გასაუბრებაც გაიარა, მაგრამ შერჩეულ კანდიდატთა შორის ვერ მოხვდა. მიუხედავად ამისა, წელს ფერიდე კიდევ უფრო დიდი ინტერესით ჩაერთო კონკურსში და წარმატებასაც მიაღწია. მინდა აღვნიშნო, რომ Flex-ის კონკურსით ჩვენი სკოლის სხვა მოსწავლეებიც არიან დაინტერესებული, რომლებიც წელს ამ კონკურსში მონაწილეობდნენ. მართალია, მათ შემდეგი ეტაპი ვერ გადალახეს , მაგრამ სერიოზული გამოცდილება მიიღეს და მომავალ წელსაც ფიქრობენ კონკურსში ჩართვას.“

ჰამლეტ ბერაძე ამბობს, რომ ფერიდეს წარმატებაში სერიოზული წვლილი შეიტანა სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა ნანა ბერიძემ და მშვიდობის კორპუსის ამერიკელმა მოხალისემ ელისაბეთ ბირჩლერმა, რომელიც მოსწავლეებს საფუძვლიან ცოდნას აძლევს. ასევე ბავშვების მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ მათ ყოველწლიურად უხდებათ შეხვედრა ამერიკელ მოხალისეებთან, რომლებიც ბორის სკოლა-პანსიონის მეგობრები არიან და რომლებთან ერთადაც მოსწავლეები მრავალ საინტერესო აქტივობას ახორციელებენ.

ფერიდე ბერაძისთვის ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. „ძალიან მინდოდა და ბევრს ვოცნებობდი ამერიკაში სწავლის გაგრძელებაზე. როდესაც გავიგე, რომ არსებობდა კონკურსი, რომელიც მაძლევდა საშუალებას, ამერიკაში ცხოვრებისა და სწავლის უფლება მომეპოვებინა, დავიწყე აქტიური მზადება ინგლისურ ენაში. ამ გამარჯვებისთვის შინაგანადაც ვემზადებოდი, ვიცოდი, რომ მომიწევდა დამოუკიდებლად ცხოვრება, უცხო ოჯახთან შეგუება. ვფიქრობ, ეს არ გამიჭირდება. ამერიკელებთან ხშირად გვიწევს ურთიერთობა, ჩვენს ოჯახში ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა აფრიკელი მოხალისე ჟიზელ ჰორნერი, რომელიც ჩვენ საკუთარი ოჯახის წევრად მივიღეთ.“ - გვიყვება ფერიდე. ფერიდე ამერიკაში სასწავლებლად ზაფხულში გაემგზავრება. უხარია, რომ მისი წარმატება სკოლის და, ზოგადად, ხარაგაულის წარმატებაცაა და თავის თანატოლებს ოცნებების ახდენას უსურვებს.

ხარაგაულის კინოთეატრში „სამი გოჭის“ პრემიერა ჩატარდა

30 მარტს ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების სახალხო თეატრმა ყველასათვის საყვარელი ზღაპრის „სამი გოჭის“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) პრემიერა გამართა. სპექტაკლის ჩვენება ხარაგაულის კინოთეატრში ჩატარდა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ. სპექტაკლი „სამი გოჭი“ თეატრის რეპერტუარში ახალია.

აღსანიშნავია, რომ თეატრის ისტორია 2008 წლიდან იწყება და მის რეპერტუარში ამ დროისათვის ექვსი სპექტაკლია. ამ მცირე დროში კი თეატრის მსახიობებმა სპექტაკლები მუნიციპალიტეტის 21 სოფელში ჩაატარეს.

„ვთვლი, რომ თოჯინების თეატრი ბავშვებისათვის ძალზე აუცილებელია, აქედან იწყება თეატრისა და ხელოვნების სიყვარული. მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც ჩემ გვერდით შრომობს. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მხატვარს, გაიოზ შუბითიძეს, არაჩვეულებრივი დეკორაციის შექმნისვის. მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც თეჯირს მიღმა არიან: ლუიზა კიკნაძეს, მაია ბერაძესა და გიორგი ჭიპაშვილს. ასევე მადლობა კინოთეატრის თანამშრომლებს, რომლებიც ყველანაირად გვიწყობენ ხელს და გვიქმნიან სამუშაო გარემოს.“ - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სპექტაკლის რეჟისორმა, ირინე ჩხეიძემ.

კულტურის ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრი სპექტაკლით „სამი გოჭი“ ნორჩ მაყურებელთათვის კინოთეატრის სცენაზე კიდევ წარსდგება და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებსაც მოივლის.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პატივცემულო კოლეგებო, ძვირფასო ამომრჩევლებო, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ და ველოდები როგორც კოლეგების, თანაგუნდელებისა და ოპონენტების მხრიდან, ასევე, საზოგადოების მიერ დაინტერესებას, კონსტრუქციულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, რაც მომცემს ორიენტირს შემდგომში ჩემი საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის თვალსაზრისით.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი გვავალდებულებს საკრებულოს წევრებს და რა თქმა უნდა თანამდებობის პირებს წელიწადში ერთხელ წარვუდგინოთ საკრებულოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ჩემი, როგორც თვითმმართველობის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის, პირდაპირი მოვალეობაა კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და საჯარო სამსახურის პრინციპების მოთხოვნათა დაცვა.

ახალი მოწვევის საკრებულო უფლებამოსილებას ახორციელებს 2014 წლის 14 ივლისიდან საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

როცა ხარ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და შემდეგში უკვე წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არჩეული ხელმძღვანელი, ეს გიზრდის პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისა და კოლეგების წინაშე. აქედან გამომდინარე, ვცდილობ საქმიანობა გავწიო საჯარო სფეროში იმ ძირითადი პრინციპების დაცვით როგორიცაა კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა. ჩემი, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის, წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის, უმთავრესი მიზანია პირველ რიგში თვითმმართველობის იდეის რეალიზება, ანგარიშვალდებულების გაზრდა და საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება. ამდენად, დაკავებული თანამდებობა ჩემთვის არის არა პრივილეგია, არამედ მაღალი პასუხისმგებლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე.

ალბათ ხაზგასასმელია, რომ დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი საქართველოში არსებულ 72 თვითმმართველ ერთეულს შორის იმ სამეულშია, სადაც ხელმძღვანელი პირები ქალები არიან. ეს რა თქმა უნდა არ იყო განპირობებული გენდერული ბალანსის დაცვის აუცილებლობით, ან რაიმე ტიპის ირიბი თუ პირდაპირი გავლენებით. ეს პირველ რიგში უკავშირდება თანამდებობაზე არჩევამდე ჩემს განვლილ გზას და ხედვებს, რომლებიც მმართველი პოლიტიკური ძალის თანხვედრაში მოდიოდა, რაც არაერთხელ გამომიხატავს საჯარო შეხვედრებსა და დისკუსიების დროს. მიუხედავად კოლეგებს შორის არსებული განსხვავებული პოზიციებისა რიგ საკითხებში, მიმაჩნია, რომ ეს არის დემოკრატიის განვითარების თანმდევი ჯანსაღი პროცესი და ხელს უწყობს საკითხების უფრო კვალიფიციურად შესწავლა-გადაწყვეტას და მუშაობის პროცესში ცდომილებების მინიმუმამდე დაყვანას.

საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი, უძღვება საკრებულოს მუშაობას, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და ბიუროს საქმიანობას. გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს და ხელს აწერს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ საქმიანობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, რომლის გამართულ საქმიანობაზეც პასუხისმგებელია საკრებულოს თავმჯდომარე. ჩემი უფლებამოსილების პერიოდში საკრებულოს აპარატის ფუნქციების გაზრდისა და საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით აპარატში ფუნქციონალური დატვირთვა მიეცა ორ საშტატო ერთეულს, კერძოდ, სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებსა და სპეციალისტს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში. ვფიქრობ, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო, როგორც საკრებულოში ტექნიკური საკითხების მოწესრიგებას, ასევე, საკრებულოს მუშაობის გამჭვირვალობასა და მასში მოქალაქეთა ჩართულობას.

როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი ხელს ვუწყობ თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში ახალი საკანონმდებლო ნორმების ეფექტურად განხორციელებას და აღმასრულებელი ორგანოს მიერ ინიცირებული საკითხების საკრებულოს სხდომებზე დროულად გატანას მოქმედი რეგლამენტის დაცვით.

იმის გათვალისწინებით, რომ თვითმმართველობის რეფორმის გარდამავალ პერიოდში გვიწევს უფლებამოსილების განხორციელება, ხშირად დგება რიგგარეშე სხდომების მოწვევის აუცილებლობა.

- 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის ჩათვლით სულ ჩატარდა:
- საკრებულოს 52 სხდომა;
- 18 გეგმიური;
- 34 რიგგარეშე.

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა:

საკრებულოს ბიუროს 53 სხდომა, რომლებზეც სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საკრებულოს სხდომებზე გასატანი საკითხები.

საკრებულომ სხვადასხვა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო:

- 156 განკარგულება;
- 96 დადგენილება;
- გამოცემულია 417 ბრძანება.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობას და კონტროლს. ჩემი უშუალო ინიციატივების შედეგად, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები. საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს, როგორც სხდომების გამართვის შესახებ, ასევე ყველა საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გამოქვეყნებას. ასევე, აღსანიშნავია საკრებულოს სხდომებში მოქალაქეების უფრო მეტი ჩართულობის ხელშეწყობა, ყველასთვის ხელმისაწვდომია საკრებულოს სხდომების ჩანაწერები, ინოვაციური სიახლეა და ხარაგაულის საკრებულო ერთადერთია მთელ საქართველოში, რომლის სხდომებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ადგილობივი პრესის, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდისა და საკრებულოს ფაცებოოკ გვერდის მეშვეობით, დაინტერესებულ მოქალაქეებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ და მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი მიმდინარე პროცესებში. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის მიხედვით (კვლევა მოიცავდა იმერეთის რეგიონს და მიზნად ისახავდა დაედგინა, რამდენად საჯარო და გამჭვირვალეა ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობები), ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქმიანობის გამჭვირვალობის კუთხით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა, რაც გამოიხატება მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინფორმაციების ვებ-გვერდზე დროულად განთავსებასა და მოქალაქეთა ინფორმირებაში. კვლევაში ხასგასმულია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქმიანობის ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნება.

საკრებულოს აპარატი საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

დაინერგა ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა, რამაც გაცილებით ეფექტური და მოქნილი გახადა კანცელარიის მუშაობა. ასევე, დაინერგა ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის სისტემა. ორივე სიახლის დანერგვის პროცესში გადამზადდნენ საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეფერხებების გარეშე გაგვემართა ისინი.

ჩემს მიერ, ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა მიღება სხვადასხვა საკითხებზე. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განხილული, შესწავლილი და რეაგირებულია მოქალაქეთა 900—მდე განცხადება. სამსახურებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, რამდენადაც ამას ვახერხებ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ვაწყობ შეხვედრებს მოსახლეობასთან, რომლის შედეგადაც ადგილზე ვეცნობი, როგორც სოფლებში არსებულ საერთო პრობლემებს, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ყოფით პრობლემებს და შეძლებისდაგვარად, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, ვეძებ აღნიშნული საკითხების მოგვარების გზებს. მუნიციპალიტეტის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ვთანამშრომლობ, როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კერძო და სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ჩემი ინიციატივით, „რეგიონალური განვითარების ცენტრთან“ თანამშრომლობით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა გამოკითხვა ხარაგაულის მოსახლეობის წინაშე მდგარი საჭიროებების გამოსავლენად. პროექტის მიზანი იყო, მოსახლეობისა და მაჟორიტარი საკრებულოს წევრების მონაწილეობა პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში. სამწუხაროდ, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინება სრულყოფილად ვერ მოხერხდა პრიორიტეტების დოკუმენტში, თუმცა მოგვცა შესაძლებლობა უკეთ დაგვენახა არსებული პრობლემები.

აღსანიშნავია, ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მიმდინარე წარმატებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში საკრებულოს როლი, ვინაიდან საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება აღნიშნული პროექტების პრაქტიკულად განხორციელება აღმასრულებელი ორგანოს მიერ, ასევე, თვითმმართველობას მიკუთვნებული საკითხების ჯეროვანი და დროული გადაწყვეტა ხელს უწყობს აღმასრულებელ ორგანოს თვითმმართველობის სერვისების გაუმჯობესებაში.

როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი, პირადად ვიყავი ჩართული მუნიციპალური განვითარების ფონდთან მოლაპარაკებებში, ეროვნული პარკის, როგორც ტურისტული ზონის, მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის ოპერატიული მოქმედებით, მიღწეულ იქნა შედეგი და დღეისათვის მიმდინარეობს აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, მიღწეულია შედეგი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან სოფელ დიდვაკეში 800 მეტრის სიგრძის გზის რეაბილიტაციისათვის. ასევე, ჩემი ინიციატივითა და აღმასრულებელი ორგანოს თანადგომით მიმდინარეობს საპროექტო განაცხადების დამუშავება მუნიციპალური განვითარების ფონდში, სოფელ დიდვაკესა და საღანძილეში ენერგო-ეფექტური საბავშვო ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აღნიშნული პროექტები დაფინანსდება. განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა სოფელ მარელისში არსებული საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია (მანამდე სასწავლო პროცესი ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარეობდა).

სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის ვთანამშრომლობ, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებთან, ასევე, სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გაზაფხულზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში იგეგმება მასშტაბური კონფერენციის ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებულ პრობლემებზე მსჯელობისა და მათი ეფექტურად გადაჭრის საკითხებზე, რაც დარწმუნებული ვარ გამოიღებს პრაქტიკულ შედეგებს. ასევე ჩემი ინიციატივით, გვაქვს დაწყებული მოლაპარაკებები და გარკვეული ნაბიჯები გადადგმული ლიტვისა და პოლონეთის თვითმმართველობებთან სხვადასხვა საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, რაც დადებით გავლენას იქონიებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ მომეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო 2015 წლის სექტემბერში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვარშავის საჯარო ადმინისტრირების სკოლის ერთობლივ ტრენინგ-სემინარში. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში თვითმმართველობის ტერიტორიული რეფორმის ხელშეწყობას, მოიცავდა ტრენინგებისა და სემინარების ციკლს. პატივი მხვდა წილად მონაწილეობა მიმეღო აღნიშნულ სწავლებებში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების 15 წარმომადგენელთან ერთად. ტრენინგ-სემინარებში საშუალება მოგვეცა გავცნობოდით პოლონეთის ტერიტორიული მოწყობისა და თვითმმართველობის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკას. ასევე, გავცნობოდით პოლონეთის გამოცდილებას დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩემი, როგორც თვითმმართველობის მოხელის პროფესიულ ზრდას.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით მოსახლეობას არ აქვს სამასალე ხე-ტყის მოპოვების უფლება და ეს გარემოება ხშირად ხდება დამატებით სხვადასხვა ტიპის პრობლემებისა და კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი ამ კუთხით. მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ჩემი ინიციატივით, მოვაწყვე არაერთი სამუშაო შეხვედრა. ამ დროისთვის ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სატყეო დეპარტამენტსა და გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილ პირებთან, სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს მიღებული და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად უფრო ხელმისაწვდომი იქნება სამასალე მერქნით სარგებლობა-მოპოვება და ასევე, დავიწყებთ პროცედურული საკითხების მოგვარებას, უკვე შემდგომში სათემო ტყეების მუნიციპალურ მართვაში გადმოცემასთან დაკავშირებით. სატყეო სფეროს სწორი მართვა და მიდგომები დადებით გავლენას იქონიებს ხარაგაულის მუნიციპალური მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

როგორც ვიცით, სახელმწიფო აუდიტმა შეისწავლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის ექვსი თვის საქმიანობა. აუდიტის ანგარიშში მოხვდა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები, საკრებულოს თანამდებობის პირებზე და წევრებზე გაცემული უფლებამოსილების ხარჯები და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯი. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილი უკავშირდება წინა მოწვევის საკრებულოს საქმიანობას. მიწის კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ჩვენ დავსახეთ გასატარებელი ღონისძიებები ხარვეზების გამოსასწორებლად. რაც შეეხება საკრებულოს წევრებზე უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯებს, თანამდებობის პირებზე ასეთი განაცემი ახალი მოწვევის საკრებულოში არ განხორციელებულა. დღეისათვის ხარჯების ანაზღაურება ხდება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯს, მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის ბოლომდე წარმომადგენლობითი ხარჯის სახით გაწეული იქნა 12 700 ლარი, რაც მოხმარდა სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას (პირველკურსელებთან შეხვედრა, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შშმ პირებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში ოფიციალური პირებისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა აუცილებელ ღონისძიებებს, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით).

ასევე, მინდა მოგახსენოთ საკრებულოს სხდომების მიმდინარეობის დროს არსებულ მთელ რიგ ხარვეზებზე, როგორიცაა დისციპლინური და პროცედურული წესების დარღვევა ზოგიერთ შემთხვევებში. საკრებულოს თავმჯდომარეს რაიმე სახის სამართლებრივი მექანიზმი, ამ ხელისშემშლელ გარემოებათა რეალურად აღსაკვეთად, არ გააჩნია და ვფიქრობ, ამ მიმართულებით საკრებულოს თითოეული წევრი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საკრებულოს წევრის სტატუსს, დაიცვას კანონმდებლობითა და რეგლამენტით დადგენილი მოვალეობები და ეთიკის ნორმები, რაც საშუალებას მოგვცემს საკრებულოს მუშაობა გახდეს უფრო მეტად ნაყოფიერი. ვფიქრობ, მეტი კოორდინაციაა საჭირო საკრებულოს წევრებს შორის, რაც საკრებულოს საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვის საშუალებას მოგვცემს. მე ყოველთვის მზად ვარ მივიღო და გავიზიარო საკრებულოს წევრების ნებისმიერი საინტერესო წინადადება და ინიციატივა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ყოველთვის პასუხისმგებლობით ვეკიდები საკრებულოს წევრების მხრიდან გაჟღერებულ პრობლემატურ საკითხებს და მასზე რეაგირებას ვახდენ ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში.

რაც შეეხება აღმასრულებელ ორგანოსთან ურთიერთობას, ჩემი მხრიდან ყოველთვის არის მზაობა თანამშრომლობისათვის და მიუხედავად გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებისა, ჩვენ ყოველთვის ვახერხებთ თანამშრომლობას საერთო საზოგადო ინტერესების გათვალისწინებით და გვაერთიანებს მოსახლეობის წინაშე აღებული პასუხისმგებლობა. დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს აპარატს კვალიფიციური და გამართული მუშაობისათვის, ასევე, კოლეგებს საკითხების განხილვაში მონაწილეობისა და აქტიურობისათვის. მიუხედავად რიგ საკითხებში განსხვავებული პოზიციებისა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალშიც ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ხარაგაულის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე
ᲘᲜᲒᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულ დასუფთავებისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90-ა-ში მდებარე წყალსადენის სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის წესით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122—ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ხარაგაულ დასუფთავებას“სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90 - ა -ში მდებარე წყალსადენი /ს.კ. 36.01.31.182/, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 173890(ასსამოცდაცამეტი ათას რვაასოთხმოცდაათი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180—ე მუხლით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის წმიდა თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა 2121 „ნივა“-ს სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122—ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ერთი წლის ვადით არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის წმიდა თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა 2121 „ნივა“, სახელმწიფო NBUB 397

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-1014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის 2016 წლის 18 თებერვალს დამტკიცებული 9/36 ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხილულ იქნა რა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივითვი თმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგეობის მიერ 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა შეფასდეს ––––––-

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180—ე მუხლით დადგენილი წესით.

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს შესახებ

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, ,,გამართივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ N13 ბრძანების და იმ ბრძანებების შესაბამისად რომლებიც უშალოდ არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.

განყოფილებამ 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, (მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა ელექტრონულად განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის ეPLAN მოდულში) განხორციელებული აქვს სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა, საქონლის შესყიდვა, მომსახურეობის შესყიდვა და სამუშაოების შესრულების შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად განყოფილების მიერ მომზადებულია 298 ორას ოთხმოცდათვრამეტი) ხელშეკრულების პროექტი რომლებიც მუნიციპალიტეტმა გააფორმდა სხვადასხვა მიმწოდებლებთან და რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 4001613.43 ლარს. მათშორის 92 ხელშეკრულება არის გაფორმებული სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს 798173.0 ათას ლარს. (მათშორის მთავრობის დადგენილება N67-ით გამოყოფილი იყო 767473.0 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით 30700.0 ათასი ლარი).

206 ხელშეკრულება არის გაფორმებული მუნიციპალიტეტში ინფრასრტუქტურული პროექტების სამუშაოებისა და სხვადასხვა საქონლის და მომსახურეობის შესყიდვებთან დაკავშირებით. მათ შორის, ერტეპატიანი (გამარტივებული) ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გაფორმებულია 45 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 2 731 956.5 ათასი ლარი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 52 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 353669.3 ათასი ლარი ხოლო 109 ხელშეკრულება გაფორმებულია სხვადასხვა მიმწოდებლებთან სხვადასხვა საქონლი მომსახუროების და სამუშაოების შესრულების შესყიდვაზე ჯამური ღირებულებით 116814.63 ათსი ლარი .

აღნიშნული განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის სახელით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში (დასკანერებული PDF ფაილის სახით) იტვირთება და რეგისტრირდება http://www.procurement.gov.ge/ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის შესაბამის მოდულში. ხოლო სისტემაში დარეგისტრირებულ ხელშეკრულებებზე თანხ(ებ)ის გადარიცხვის შემდეგ 10 კალენდარული დღის ვადაში (დასკანერებული PDF ფაილის სახით). იტვირთება ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ინსპეტქტირების ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლ(ებ)ის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. ხელშეკრულებების საფუძველზე ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვებიე ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ ხელშეკრულებებს ენიჭება შესაბამისი სტატუსი, შესრულებული ან შეუსრულებელი ხელშეკრულება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადებული აქვს 63 სატენდერო დოკუმენტაციის ოქმი N1 რომლითაც მტკიცდება სატენდერო დოკუმენტაცია, 63 სატენდერო დოკუმენტაცია რომლის საფუძველზეც გამოცხადებულია ერთეტაპიანი (გამარტივებული) ელექტრონული ტენდერ(ებ)ი.

სახელმწიფო შესყიდვების მიერ მუნიციპალიტეტის სახელით გამოცხადებული ტენდერების მთლიანი რაოდენობიდან, შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 45-ს, არშემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 16-ს ხოლო უარყოფითად დასრულებული ტენდერების რაოდენობა შეადგენს 2 - ს.

მუნიციპალიტეტმა ერთეტაპიანი (გამარტივებული) ელექტრონული ტენდერები გამოაცხადა ჯამური ღირებულებით 3 078 044 ლარზე. და ტენდერების გამოცხადებით გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში დაზოგა 346087.7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე, მონაწილე პრეტენდენტთაგან გამარჯვებული პრეტენდენტის გამოსავლენად მომზადებულია სხვადასხვა შინაარსის მქონე ოქმები N2, ოქმი N3, ოქმი N4, და ოქმი N5 რომელთა რაოდენობა შეადგენს 68-ს. მათშორის ოქმი N2-ის რაოდენობა შეადგენს 47-ს, ოქმი N3-ის რაოდენობა შეადგენს 16-ს ოქმი N4-ის რაოდენობა შეადგენს 4-ს და ოქმი N5-ის რაოდენობა შეადგენს 1-ს. ყველა შემდგარი ტენდერის შესაბამისად მომზადებული ინტერესთა კონფლიქტი რომლის მთლიანი რაოდენობა შეადგენს 47-ს. და ასევე მომზადებულია ყველა ოქმის შესაბამისი წერილის პროექტი (წერილ(ობ)ით პრეტენდენტს ეცნობება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება) რაოდენობით 68.

აღნიშნული განყოფილება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ყოველთვიურად წარუდგენდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მიერ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით ფაქტობრივად ათვისებული შესყიდვის ობიექტ(ებ)ის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ.

განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად ხდებოდა შესყიდული საქონლის და გაწეული მომსახურეობის შესახებ განაწილების უწყისების წარმოება და გადაეცემოდა შესაბამის სამსახურს ან განყოფილებას.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლებელი ორგანიზაციის ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“-ს მიერ არ გამოვლენილა რაიმე სახის შეუსაბამობა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან და შესაბამისად არ ყოფილა რაიმე სახის შენიშვნები.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას დროულად წარუდგენს მათ მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციებს და ინფორმაციებს და აქტიურად მონაწილეობს კონსოლიდირებული ტენდერების მიმდინარეობის, მონიტორინგისა და შესაბამისი სტატისტიკის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ახალ ცტდ.სპა.გე სისტემაში.

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ზურაბ იჩქიტიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხარაგაული -2011“-სათვის“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის , 122—ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა დანართის შესაბამიად (თან ერთვის) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხარაგაული -2011“-ს არსებობის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180—ე მუხლით დადგენილი წესით.

დ ა ნ ა რ თ ი

1. ერთი ერთეული. ტრაქტორი MF290 საბალანსო ღირებულებით 12000 (ათას
ორასი) ლარი.
2. ერთი ერთეული ტრაქტორი MF290 საბალანსო ღირებულებით 180 (ასოთხმოცი) ლარი.
3. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით 10000 (ათიათასი) ლარი.
4. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით 13000(ცამეტიათასი) ლარი.
5. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით (თხუთმეტიათასი) 15000 ლარი.
6. ერთი ერთეული სამკორპუსიანი გუთანი KP143 საბალანსო ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.
7. ერთი ერთეული სამკორპუსიანი გუთანი KP143 საბალანსო ღირებულებით 350 (სამასორმოცდაათი) ლარი.
8. ერთი ერთეული კულტივატორი KB13 საბალანსო ღირებულებით 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.
9. ერთი ერთეული კულტივატორი KB13 საბალანსო ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.